ხელშეკრულება №03/38
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

23.03.2018წ.

ქ.თბილისი

ერთის მხრივ "საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი" შემდგომში – "შემსყიდველი", დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ შპს „ოფის-1" შემდგომში "მიმწოდებელი" დირექტორის გიორგი მაღრაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია:
საოფისე ავეჯის შესყიდვა. (CPV: 39100000)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1200 (ერთი ათას ორასი) ლარს. დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა

4.1 „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
4.2 შესყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით „მიმწოდებლის" მიერ აღებული ვალდებულების სრულად შესრულებისა და ანგარიშფაქტურის, ზედნადების ან მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
5.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით
5.4 „მიმწოდებელი" ვალდებულია
- მიაწოდოს „შემსყიდველს"ხელშეკრულებით გათვალისწინებილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
6.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
6.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
6.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საეთო ღირებულების 0,2% ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 23.03.2018-დან 30.04.2018-მდე.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნების მიზეზების მითითებით.
10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11 სხვა პირობები

11.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავინთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას
ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი
მისამართი: ქ.თბილისი
მინდელის ქ. №7
ს/კ 249250821
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
სახაზინო კოდი: 0708687520

დირექტორი:

გურამ ბოკუჩავა

„მიმწოდებელი“

შპს "ოფის 1"
მისამართი: ქ. თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 20
ს/კ 204964039.
ტელ.2 320 200
სს "პროკრედიტ ბანკი"
კოდი: MIBGGE22
ა/ა GE57PC 0183 6001 0002 8131

დირექტორი:

გიორგი მაღრაძე

შპს "ოფის 1"
0160 თბილისი, ვაჟა ფშაველას 20
ტელ.: 032 2 390 390
032 2 320 200
office1@office1.ge

ოფის 1 OFFICE
საოფისე ავეჯი
საკანცელარიო ნივთები

"Office1" LTD
0160, Tbilisi, 20 Vazha-Pshavela ave.
Tel: 032 2 390 390
032 2 320 200
www.office1.ge

ინვოისი OF-V70 № 981

22 მარტი 2018

ინვოისი ძალაშია გამოწერიდან 7 დღის განმავლობაში

შეკვეთის მიმღები ფილიალი	მყიდველი
შ.პ.ს. "ოფის 1"	ორგანიზაცია: ვეკუას ინსტიტუტი
საიდ. კოდი: 204964039	საიდ. კოდი:
მისამართი: ვაჟა ფშაველას 70	მისამართი:
საკონტაქტო პირი: თამარ ბიწაძე	საკონტაქტო პირი:
ელ. ფოსტა: f70@office1.ge; order@office1.ge	ტელ:
მობ: 2 320 200; 595 99 83 85	მობ: 577 39 27 93

#	შტრიხ კოდი	პროდუქციის დასახელება	ზომ. ერთ.	რ-ბა	ფასი (დღგ-ს ჩთ.)	თანხა
1	REN-213062	მაგიდა 140*69*75სმ, ხის ფეხით, ტ- 3.0, ვენგე, AGENA, REN-AGN.01.14(Wenge), REN-213062	ც.	2	330	**660.00**
2	REN-213060	მაგიდა 80*69*75სმ, ხის ფეხით, ტ- 3.0, ვენგე, AGENA, REN-AGN.01.80(Wenge), REN-213060	ც.	1	250	**250.00**
3	REN-213064	ტუმბო 40*47*63სმ, AGENA, 3 უჯრიანი, გორგოლაჭით, მეტ. სახ. ვენგე, REN-PDS.09.03(Wenge), REN-213064	ც.	1	290	**290.00**
4			ც.			
5			ც.			
6			ც.			
7			ც.			
8			ც.			
9			ც.			
10			ც.			
11			ც.			
						1200.00

გაყიდვების მენეჯერი:

თამუნა ბიწაძე

პროკრედიტ ბანკი:	თიბისი ბანკი:	საქართველოს ბანკი:
MIBGGE22	TBCBGE22	BAGAGE22
GE57PC0183600100028131	GE91TB0600000360203667	GE25BG0000000340947600

*შენიშვნა: თქვენი მოსაზრებები და შენიშვნები გთხოვთ გაგვიზაროთ ფოსტაზე: office1@office1.ge
ან მოგვწეროთ სმს - ით ნომერზე: (+995) 599 17 26 26